# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 14 | კვირა, 11 ნოემბერი 1901 წ. | გაზეთის № 1638.

# უსამართლობა

(ან. ჩეხოვისა)

როცა საღამოს სეირნობას მორჩა კოლეჟსკი ასესორი მიგუევი, შეჩერდა ტელეგრაფის ბოძის მახლობლად და მწარედ ამოიკვნესა. ერთი კვირის წინად, როდესაც იგი საღამოს სეირნობიდან სახლში ბრუნდებოდა, ამავე ადგილას დაეწია მას წინანდელი მისი მოახლე აგნია და განრისხებით უთხრა:

— მაცადე, ისეთი კიბო შეგიწვა, რომ არც კი გენახოს, გაიგებ როგორ უნდა უმანკო ქალების დაღუპვა... ბავშვსაც შენ მოგიგდებ, სასამართლოშიაც წავალ და შენს ცოლსაც ვუამბობ...

შემდეგ ქალმა მოსთხოვა, რომ ჩემს სახელზე შეიტანე ბანკში 5 ათასი მანეთიო.

მიგუევს მოაგონდა ეს, მწარედ ამოიკვნესა და ერთი კიდევ შენანებით უსაყვედურა თავის თავს წუთიერი გატაცება, რომელმაც მას ამდენი დარდი და ტანჯვა მიაყენა.

მივიდა თუ არა თავის აგარაკთან, მიგუევი ჩამოჯდა აივანზე დასასვენებლად. სრული ათი საათი იყო. ღრუბლებ შუა გამოსჭვივდა მთვარის ნათელი. ქუჩაში და აგარაკის მახლობლად სულდგმული არ იყო! მოხუცნი მოაგარაკენი დასაძინებლად ემზადებოდნენ, ახალგაზდანი კი მინდორში დასეირნობდნენ. მიგუევი ჯიბეში ეძებდა წუმწუმას, უნდოდა პაპიროსი მოეწია. ამაობაში წამოჰკრა იდაყვი რაღაც რბილ საგანს. რადგანაც შინ საქმე არა ჰქონდა და ცნობის-მოყვარეობამაც გაიტაცა, დაიხედა იდაყვის ქვეშ და სახე ისე გაუფითრდა, თითქო თავის მახლობლად გველი დაინახაო. იქვე, სახლის კარებთანვე იდვა რაღაც ბოხჩა და ამ ბოხჩაში რაღაც მოგრძო იყო შეხვეული. ერთი ყური ბოხჩისა გადახდილი იყო. კოლეჟსკი ასესორმა ჩაჰყო ბოხჩაში ხელი და რაღაც თბილი და მოსველო მოხვდა ხელში. უეცრად წამოხტა ზეზე და მიმოიხედა, თითქო ავაზაკია და გაქცევას აპირებსო.



† დოქტ. ნ. ასათიანი

ბათუმის ქალაქის თავი, გარდაიცვალა 9 ნოემბერს.

(გადაღებულია უკანასკნელი სურათიდან)

— მომიგდო! გულმოსულად წაიბუტბუტა და კბილები გაალრაჭუნა.

— აი ისა ძევს... ძევს უსამართლობა! ოჰ, ღმერთო!

შიშისაგან, ჯავრისაგან და თანაც სირცხვილისაგან უეცრად გაშეშდა მიგუევი... „რა ვქმნა ეხლა? რას იტყვის ცოლი, როცა გაიგებს? რას იტყვიან ამხანაგები? მისი აღმატებულება უსათუოთ დაუტყაპუნებს მას მუცელზე ხელს და ფრუტუნით იტყვის: „მომილოცნია. ხე, ხე, ხე, ქაღარა წვერში და ეშმაკი წელში, ცელქო სიმონ ერასტიჩ! მთელი აგარაკი გაიგებს ეხლა მის საიდუმლოს და შესაძლოა, რომ პატივცემულმა დედებმა სრულებით აღარც კი შეუშვან სახლში. ყველა გაზეთები ამ ჩემს ამბავს დაბეჭდავენ... პატიოსან მიგუევის სახელი მთელ რუსეთს მოედება“...

შუა ფანჯარა აგარაკისა ღია იყო და ცხადათ ისმოდა როგორ აწყობდა ანნა ფილიპოვნა, მიგუევის მეუღლე, სავახშმოდ მაგიდას. ეზოში, კარებს უკან, ეზოს მგველი ერმოლაი სევდიანის კილოთი აჟღარუნებდა ჩონგურს. უეცრად რომ ბავშვს გაეღვიძნა და დაეჩხავლნა, მიგუევის საიდუმლო ხომ გამოაშკარავდებოდა. მიგუევმა აუჩქარა საქმეს. ჩქარა, ჩქარა... ბუტბუტებდა იგი — ამ წამსვე, ვიდრე არავინ ხედავს... წავიღებ სადმე და სხვის დერეფანზე დავდებ...

მიგუევმა ამოიჩარა იღლიაში ბოხჩა და ნელის, წყნარის ნაბიჯით, რომ ეჭვი არავის აეღო, გაუდგა ქუჩას...

,,საკვირველი საძაგელი მდგომარეობაა!.. ფიქრობდა იგი და მასთან ცდილობდა არავის შეემჩნია სახეზე. — კოლეჟსკის ასესორი ბავშვით მიდის ქუჩაში! ოჰ, ღმერთო, თუ ვინმემ დამინახა და გაიგო რაშიაც არის საქმე, ხომ დავიღუპე... მოდი, დავდებ ამ დერეფანზე... არა, მოვიცდი, აქ ფანჯრებია გაღებული და იქნება ვინმე იცქირებოდეს. საით წავიღო, ნეტავი? ჰო, აი რა ჩინებული აზრია! ჩავიტან ვაჭარ ბელკინთან. ვაჭრები მდიდრებიც არიან და გულშემატკივარნიც, იქნება მადლობაც მითხრან და ასაღზრდელად თვითონ აიყვანონ‘‘.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრის აგარაკი ქუჩის ბოლოს იყო, მდინარის მახლობლად, მიგუევმა გარდასწყვიტა, ჩაეყვანა ბავშვი უსათუოთ ბელკინთან.

,,ნეტავი კი არ დაიჩხავლოს და ან ბოხჩიდან არ გამისხლტეს‘‘ — ჰფიქრობდა მიგუევი! — აი ამას კი აღარ ველოდდი... ნამდვილი კაცია, ცოცხალი, სულით, გრძნობებით, როგორც ვართ ჩვენ ყველანი... თუ ბელკინებმა აიყვანეს აღსაზრდელად, შეიძლება გამოვიდეს ვინმე ისეთი... შეიძლება გამოვიდეს პროფესორი, სარდალი, მწერალი... ხომ სუყველა შესაძლებელია ქვეყანაზე... ეხლა მიმაქვს ეს იღლიას ქვეშ, როგორც რაიმე უმნიშვნელო ნივთი, და იქნება ასე 30—40 წლის შემდეგ მე თვითონ მომიხდეს მის წინაშე გამოჭიმა“...

როდესაც მიგუევი მიდიოდა მიყრუებულ ქუჩებში, გძელ ღობეების მახლობლად, უეცრათ თავში გაუელვა, თითქო რაღაც შეუბრალებლობას, გულქვაობას ჩადიოდა...

„მართლა და როგორი ფლიდობაა! — ჰფიქრობდა იგი — ისეთი ფლიდობაა, რომ ამაზედ საძაგლობა არა შეიძლება-რა. არა... რისთვის უნდა გადავისროლოთ უბედური ბავშვი დერეფნიდან დერეფანზე? განა დამნაშავეა იგი, რომ გაჩნდა? და ან რა დაგვიშავა? ფლიდები ვართ ჩვენ ყველანი, ფლიდები... გვიყვარს მარხილებით ცურვა და მისი თრევა კი ჰხვდებათ უმანკო ბავშვებს... ხომ მარტო ჩაფიქრება სჭირია ყველა ამ მუსი-

კას! მე ვსაძაგლობდი და ამ ბავშვს კი ეს სასტიკი ბედი ხვდა...

კარგი, მივუგდებ მე ამას ბელკინებს, ბელკინები გაგზავნიან ობოლთა აღმზრდელ სახლში, იქ კი ყველანი სხვები არიან, არც ალერსი, არც სიყვარული, არც ნებივრობა. მერე მისცემენ ხარაზს... დაისწავლის ბინძურ ლაპარაკს, მოკვდება შიმშილით, ჰმ! ხარაზად!.. და ეს ხომ კოლეჟსკი ასესორის შვილია, კეთილშობილი... ეს ხომ ჩემი სისხლი და ხორცია“...



დი-ხუნ-ჩანგი.
გარდაიცვალა 26 ოქტომბერს.

მიგუევი ამასობაში გამოვიდა გზაზედ, რომელსაც ოქროს ფრად ანათებდა მთვარე. გაშალა ბოხჩა და დაჰხედა ბავშვს.

„სძინავს, — წაიჩურჩულა მან — ეჰე! დახე საძაგელს, ცხვირი კუზიანი არა აქვს, მამასავით?! მაშ რა არის დასამალი... ძმაო დასამა... უკაცრავად... მაპატიე... რას იზამ, მაშ, ასეთ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული...

კოლეჟსკი ასესორმა დაახამხამა თვალები და იგრძნო, რომ მის ლოყებზე რაღაც ჭიანჭველის მსგავსი ჩამოცურდა... მან შეახვია ბავშვი, ამოიჩარა ისევ იღლიაში და გაუდგა გზას...

მთელ გზაზე, ბელკინის აგარაკამდის, მის თავში სოციალური კითხვები ირეოდნენ, გულს კიდევ სინიდისი ჰკაწრავდა.

„მე რომ რიგიანი, სინიდისიერი კაცი ვიყო, ჰფიქრობდა იგი—მივაფურთხებდი საზოგადო აზრს, წავიდოდი ამ ბავშვით ანნა ფილიპოვნასთან, მოვიდრეკდი მის წინაშე მუხლს და ვეტყოდი: მაპატიე, ცოდვილი ვარ, მე უბედური! დამფლირთე მე, მაგრამ უმანკო ბავშვს კი ნუ დავღუპავთ. შვილი ჩვენ არა გვყავს; ავიყვანოთ იგი ჩვენ და გავზარდოთ... ის კეთილი დედაკაცია, დამეთანხმება... და იქნებოდა მაშინ ჩემი შვილი ჩემთან... ეხ“!..

ამასობაში მივიდა იგი ბელკინის აგარაკთან და გაუბედავად შედგა. წარმოუდგა როგორ ზის ზალაში და კითხულობს გაზეთს, მის ახლო კი თამაშობს ბავშვი, კუზიანი ცხვირით, და შეჰხარის მას; ამავე დროს თვალ წინ წარმოუდგნენ მომღიმარნი ამხანაგები და ფრუტუნით მისი აღმატებულება. მის გულში, სინდისის ქენჯნასთან ერთად იღვიძებდა რაღაც ნაზი, თბილი გრძნობა...

კოლეჟსკი ასესორმა წყნარად დადო ბავშვი ერდოს საფეხურზე და ხელი ჩაიქნია. მის სახეზედ კიდევ ჩამოცურდა რაღაც ჭიანჭველის მსგავსი...

— მაპატიე, ძმაო, მე ფლიდს, უგულოს! წაილუღლუღა მან.

გადადგა რამდენიმე ნაბიჯი წასასვლელად, მაგრამ მაშინვე გაბედულობით წამოავლო ხელი და სთქვა: რაც იყოს—იყოს!..

— ეჰ... ჯანი გავარდეს ყველას!.. მე ამას ავიყვან და ხალხმა რაც უნდა, ისა სთქვას.

მიგუევმა აიყვანა ბავშვი და ჩქარის ნაბიჯით დაბრუნდა შინისაკენ.

,,დეე, რაც უნდა, ისა სთქვან...—ჰფიქრობდა იგი —წავალ ეხლავე, მოვიდრეკ მუხლს და ვეტყვი: ,,ანნა ფილიპოვნა‘‘. ის კეთილი დედაკაცია, დაიჯერებს და დავიწყებთ ბავშვის აღზრდას... თუ ბიჭია, დავარქმევთ—ლადოს, თუ ქალი—ანნას. სიბერის დროს ჩვენი ნუგეში იქნება!!. და მიგუევი მოიქცა ისე, როგორც გარდასწყვიტა. ტირილით, გარინდებული შიშისაგან და სირცხვილისაგან, სავსე იმედით და გამოუკვლეველ აღტაცებით, წავიდა იგი თავის აგარაკში; შევიდა ცოლთან და მუხლ-მოდრეკილი დაემხო მის წინ.

— ანნა ფილიპოვნა! — სლოკინებდა იგი და ბავშვი მის ფეხებთან დადო, — ნუ გამსჯავ!..

მათქმევინე სიტყვა... ცოდვილი ვარ!.. ეს ჩემი შვილია... შენ აგნუშკა ხომ გახსოვს... აი ეშმაკმა... შემაცდინა...



მუდრო კუთხე
სურათი ობერმიულნერისა. ოფორტიდამ გადაღებული.

შიშისაგან და სირცხვილისაგან გაშფოთებული გამოვარდა გარეთ წმინდა ჰაერზე, არც კი მოუსმენია ცოლის პასუხი.

„ვიქნები აქ ეზოში, სანამ არ დამიძახებს.—ფიქრობდა იგი—მივცემ დროს რომ გონზე მოვიდეს“.

ეზოს მგველმა ერმოლაიმ ჩონგურით ხელში გაიარა მის მახლობლად; შეჰხედა მას და მხრები შეიშმუშნა. ერთი წუ-



**სოფლის სურათი, ბრაიტისა ოფორტიდან გადაღებული.**

თის შემდეგ კიდევ გაიარა მის მახლობლად და კიდევ შეიშმუშნა მხრები.

„აი ხათაბალა, ბატონო ჩემო, სიმონ ერასტიჩ, მოსარეცხე დედაკაცმა აქსენიამ, რეგვენმა, დასტოვა თავის ბავშვი დერეფანში და აქამომდე ჩემთან იჯდა; ვიღაცას აუღია და წაუღია ბავშვი... აი ხათაბალა! .

— რაო? რას ამბობ? შეჰყვირა მრისხანედ მიგუევმა.

ერმოლაიმ თავისებურად აღსნა ბატონის განრისხება, მოიფხანა კისერი და ამოიოხრა...

— მაპატიეთ, სიმონ ერასტიჩ,—შეევედრა იგი,—მაგრამ ეხლა სულ სხვა დროა... უამისოდ არ შეიძლება, ესე იგი უდედაკაცოდ... და რომ დაინახა დაღრეჯილი სახე თავის ბატონისა, განაგრძო:

— ეს, რასაკვირველია, ცოდვაა, მაგრამ რას იზამ! თქვენ, მართალია, არ გიბრძანებიათ შემომეყვანა სხვისი დედაკაცი, მაგრამ რანაირად გავიჩინო საკუთარი! თქვე დალოცვილნო, წინად, როცა ჩვენსა აგნიუშკა ცხოვრობდა, სხვის დედაკაცებს არ ვუშვებდი იმიტომ, რომ აგნიუშკა ჩემთვის იყო ბატონო. ახლა კი, თქვენ თვითონ განსაჯეთ მარტოკა ძნელი გასაძლებია; აგნიუშკას დროს ასეთი უწესობა არ იყო, ეს მართალია...

— გამეცალე აქედან, საძაგელო! დაუყვირა მიგუევმა, თან ფეხები დაუბრახუნა და სახლისკენ გასწია.

ანნა ფილიპოვნა, გაჯავრებული იჯდა ერთ ადგილას და ცრემლიან თვალებს არ აშორებდა ბავშვსა.

— ეე, წაილუღლუღა საცოდავად მიგუევმა და თან გაიღიმა ზა პირისახე.

— მე გაგეხუმრე... ეს ჩემი კი არ არის... არა, მოსარეცხე აქსენიასი არის.. მე.. გაგეხუმრე... ეგ ბავშვი წაუყვანე ეზოს მგველს ერმოლაის.

**რ. ხირხელიძე.**

7 ოქტომბერი 1901 წელს.

# ნარევი და გასართობი

ქ. პარიზის პოლიციის პრეფექტს განუზრახავს ხელი შეუწყოს და მფარველობა გაუწიოს ბავშვების სათამაშოების გამომგონებელთ. გონება და ენა მახვილი პარიზელები, რასაკვირველია, ამ შემთხვევასაც არ გაუშვებდნენ ისე, რომ რამე არ ეოხუნჯნათ.

— განა მარტო გამომგონებლების დაჯილდოებით შეიძლება ხელი შეუწყოს საბავშვო სათამაშოების მრეწველობის განვითარებას?

— სხვა რომელი საშუალება იცით?

— ჯილდო უნდა მიეცეს იმ ბავშვსაც, რომელიც სხვაზე მეტ სათამაშოებს დაამტვრევს და გააფუჭებს.

*
* *

„ბერლინის ბირჟის გაზეთში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი ამერიკელ მილიონერის მორგანის შესახებ:

მორგანს ძალიან ეჯავრება თურმე გაზეთების კორესპონდენტებთან ბაასი. ამას წინად ის ლონდონში მისულა. ლონდონის ერთ დიდ გაზეთის თანამშრომელს წერილი მიუწერია—ორი წუთით თქვენი ნახვის ნება მომეცით. მილიონერმა მაშინვე უპასუხა: არ შემიძლიაო, ყოველი წუთი ჩემის ცხოვრებისა 10 გირვანქა სტერლინგი ღირსო. ჟურნალისტმა ამაზე უპასუხა—გადაგიხდი 20 გირვანქას, ოღონდ ნება მომეცი მოვიდეო. მორგანმა თავისი სიტყვა უკან ვეღარ წაიღო და

უარი ვერ უთხრა. მეორე დღეს ჟურნალისტი მივიდა მორგანთან.

— რა გნებავთ ჩემგან?—მიაძახა შესვლისათანავე მორგანმა.

— არაფერი. მე გთხოვეთ 2 წუთით თქვენის ნახვის ნება. თქვენ ეს დააფასეთ 20 გირვანქა სტერლინგად; აი ეს ფულიც, მიიღეთ.

— მერე?

— მეტი არაფერი.

— მაშ რისთვის გინდოდათ ჩემი ნახვა?

— იმიტომ რომ მე სხვას დავენაძლივე; თუ ვინიცობაა თქვენ გნახავდით 100 გირვანქა უნდა მოეცა ჩემთვის. სანაძლევო მოვიგე; მე მოგეცით 20 გირვანქა, მე-კი დამრჩება 80 გირვანქა. ამნაირად მე 30 გირვანქით მეტი მოვიგე წუთში, ვინებ თქვენ!..

მილიონერი სახტად დარჩა და გაოცებით შეჰყურებდა მოხერხებულ ჟურნალისტს.

***

რომელ ქვეყანაში რამდენი ჯდება ჯარის კაცის შენახვა? ნორვეგიის სტორტინგის დეპუტატის ბრანდტის გამოანგარიშებით ნორვეგიაში ერთის ჯარის კაცის შენახვა ჯდება წელიწადში—247 მარკა (მარკა—47 კ.), ავსტრო-ჰუნგრეთში—244, გერმანიაში—236, საფრანგეთში—196, დანიაში - 191, იტალიაში—166, შვეციაში—150 და რუმინიაში—135.

***

— ახალი ამბავი იცი? მუსიკის ერთ პროფესორს 100.000 ფრანკი მოუგია.

— მერე და რა დასკვნა გამოგყავს ამ შემთხვევიდან?

— ისა, რომ ფორტუნა (ბედის ღმერთი) თუ ბრმა არის, სამაგიეროდ მას ყურთა სმენა არ ჰკლებია.




ალლაჰმა უწყის რა უნდათ ჩემგან!



ტფილისის თვითმმართველობის საავადმყოფოს ექიმი: გული გამისიეს ამდენმა თაგვებმა. ვფიქრობ—რა საშუალებას მივმართო ამათ გასაწყვეტად, მაგრამ ვერა მომიგონიარა. მივწერ ქალაქის გამგეობას, იქნება იქ იცოდნენ საშუალება. თაგვები იქაც ბევრი ჰყავთ, მგონია.



— ექიმისაგან ქაღალდი მივიღე, თაგვებს უჩივის და საშუალებას მთხოვს. ეს ფრიად რთული საგანია და თუ არ დავეკითხე ამ საქმეში გამოცდილს დაწესებულებას—ინტენდანტსტვოს და მაზრების უფროსებს, ჩემის ცოდნით ვერას გავხდები.

რედაქტორი ალ. ჭყონია

გამომცემელი ალ. ჯაბადარი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Ноября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.